

`qarTul i ocneba~ - saerTo ocneba mTel i saqarTvel osTvis!

საერთო გეგმები

№53 (182) • 17-20.XII, 2011 წელი • გაგონის მოთხოვნა და შედეგები • E-mail: saertogazeti@yahoo.com; www.saertogazeti.net • შპსი 1 ლარი



არა სიბოცხლა, არა
სიკვიდილი,
არამედ
ქრისტინა-
დემოკ-
რატიანი!

ჩემი რევიუა:

mec maqvs
Cemi
qarTul i
ocneba...



ნორა ანანიაშვილი:



ratom
aRmoCndnen
mxol od
`qarTu
banki s~
kl ientebi
`biuj etis
qurdebi ~?


რამის ფანტაზია:



mkvl el i
saakaSvil i
axl a mTel
saqarTvel os
upi rebs
mokvl as...

ფინანსური პოლიტიკა:

`dRes gaCnda
Sansi,
yvel aferi,
rac ocnebis
Wri l Si
warmogvedgina,
real obad iqces~



თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

თავმოსულელებულნი.

თავმოსულელებულნი.

თავმოსულელებულნი.

თავმოსულელებულნი.

თავმოსულელებულნი.

თავმოსულელებულნი.

თავმოსულელებულნი.

თავმოსულელებულნი.

თავმოსულელებულნი.

თავმოსულელებულნი.

არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ ქრისტიან-დემოკრატები!



— არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა — თქვა პოეტმა.

— არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ ქრისტიან-დემოკრატები! — „ჩაგვინაპიოკა“ ბიორგი ტარგამაძემ და მკერდზე დაირტყა ფუთიანი მუხტი.

გიორგი ტარგამაძეც პოეტია, ოღონდ მხოლოდ პოლიტიკური ლირიკის დარგში მუშაობს ვიწრო სპეციალობით და ძირითადად, საკუთარ თავს და საკუთარ ემოციებს უკირკიტებს.

ჰოდა, ამ „პოეტმა“ თარგამაძემ ამასწინათ საოცარი პოეტური აღმოჩენა გააკეთა.

— დღეს ქართულ პოლიტიკაში ორი ძირითადი პოლუსი გამოიკვეთა — ერთი სახელისუფლო, მეორე ბიძინა ივანიშვილის, მაგრამ არის მესამე პოლუსი და ეს მესამე ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატები ვართ. თუ ვინმეს არ გჯერათ, რომ ეს ასეა, ნახეთ სოციოლოგიური გამოკვლე-

ვები და დარწმუნდებით, რომ სწორედ ჩვენ ვართ მესამე პოლიტიკური ძალა, რომელიც არც ხელისუფლებასთან არის, არც ივანიშვილთან და თავისი გამოკვეთილი პოლიტიკური ნიშა უკავიათ.

ბოდიშს ვიხდით, თუ თარგამაძის მიერ გამოთქმული ბრძნული მოსაზრების ზუსტ ციტირებას ვერ ვახდენთ, მაგრამ შინაარსი ნამდვილად სწორად არის მოტანილი.

მოკლედ ასეა საქმე, თუ არც სააკაშვილი მოგწონთ და არც ივანიშვილის კოალიცია, მიაშურეთ თარგამაძის პარტიას და იქ ჰპოვებთ ხსნას და შვებას.

სხვათაშორის, ერთი პოლიტიკითხავის „წინასწარმეტყველება“ გამახსენდა, რომლის მიხედვითაც სა-

ქართველოს ახალი პრეზიდენტი უნდა ეყოლოს.

პოლიტიკითხავის აზრით, ეს ახალი პრეზიდენტი არც სააკაშვილია, არც ივანიშვილი, თქვენ წარმოიდგინეთ, არც უგულავა, არც ბაქრაძე.

გიორგი ჰქვია მას, გიორგიო, — მიგვანიშნებდა პოლიტიკითხავი და ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის არ იყოს, სახელი გიორგის დასახელების შემდეგ საქართველოს მომავალი პრეზიდენტის ვინაობის მიხედვრას რაღა უნდა?

ასეა საქმე, ბატონო, სანამ ეს ორი ძალა, სახელისუფლო და ბიძინა ივანიშვილის კოალიცია ერთმანეთს ეპრპვის და ერთობლად ასუსტებს, კლინარდობა და კლინარდობა მესამე ძალა (ქრისტიან-დემოკრატები), რომელთაც მარჯვნიდან და მარცხნიდან „ემატებიან“, და „ემატებიან“ შორიშორის და არაშორიშორის მასები.

გასაკვირი ის არის, რომ ჩვენს მიერ ზუმრობით ნათქვამი და ბრჭყალებში ჩასმული „ემატებიან“, მთლად რეალობას არ არის მოკლებული.

საქმე ის არის, რომ **ქალაქში, სოციალიზმის გარეშე, მართლაც მათულობს, „ქრისტიან-დემოკრატების“ რეპტიზმი,**

მაგრამ საკითხავი ის არის რამ-

დენად სანდოა ქალაქში მიმატებული რეპტიზმი, როცა საზოგადოების განწყობა ამ ხელოვნური განაყოფიერების გზით შექმნილი პარტიისადმი, როგორც ამბობენ უარყოფითია?

საერთოდ, სანამდის ვუსმინოთ, ამ პოლიტიკური წვრილფეხობების უაზრო ბაქიბუქს ხომ არ სჯობს, ერთი ქასტინგი ჩავატაროთ რომელიმე პატარა სტადიონზე და ბოლოს და ბოლოს ზუსტად დავთვალოთ რამდენნი არიან, თორემ აირაების, კაჭკაჭიშვილების, თუ თიფუშიშვილების და ძმათა მათთა გადაძვინა, ხომ ხედავთ, რა დღეშიც ვართ?

P.S. კიდევ ერთი პარტია — „ახალი მემარჯვენეები“ აცხადებენ პრეტენზიას მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაზე.

— ამ არჩევნებში ჩემი პარტია პარლამენტში თუ არ შევიყვანე, გადავდგებიო, — დაიქანდა პარტიის თავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ.

გამყრელიძე, ეტყობა, სააკაშვილის ხელთ აპირებს თავისი ბედკრული პარტიის პარლამენტში შეყვანას, თორემ თვითონ რისი შემყვანია, კი ვიცით...

ამ ყარტაყურტა პარტიების ნაწილს სააკაშვილი ჩაილაგებს ჩემოდანში, ნაწილს სხვები ჩაიყრიან აბაში, მერე ამ ტვირთით პარლამენტში შევლენ და ასე მივიღებთ მრავალპარტიულ, დემოკრატიულ პარლამენტს...



თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

dRes gaCnda Sansi, yvel aferi, rac ocnebis Wri I Si warmogvedgina, real obad iqces~

ალიანსის, რეიანისა და ექვსიანის შემდეგ საქართველოში ახალი პოლიტიკური კოალიცია იქმნება. ბიძინა ივანიშვილის პრეს-სამდივნოს ინფორმაციით, კოალიცია ივანიშვილის პარტიის ფორმირების დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდება. ახალ პოლიტიკურ სტრუქტურაში „კონსერვატიული“ და „ხალხის პარტიისთვის“ ადგილი უკვე ჩანიშნულია. კონსულტაციები სხვა პარტიებთანაც მიმდინარეობს.



კოალიციის გეგმებსა და მიზნებზე „საერთო გაზეთს“ „კონსერვატიული პარტიის“ თავმჯდომარე ზვიად ძიძიგორი ესაუბრა:

— ეს არის კოალიცია, რომელმაც არსებული ხელისუფლება უნდა შეცვალოს. ვფიქრობ, რეალური გეგმაა. ვაპირებთ „კონსერვატორები“ და „ხალხის პარტია“ ჩვენი რესურსებითა და სტრუქტურებით აქტიურად ჩავეხრებთ კოალიციის მუშაობაში, ამიტომ ვასაკეთებელი მალევე ბევრია. კოალიცია იძლევა შესაძლებლობას რამდენიმე თვით ადრე დავიწყოთ საარჩევნო სტრუქტურების, საარჩევნო ერთეულების, ჩამოყალიბება. პროცესში კი საქართველოს მასშტაბით ათასობით ადამიანი უნდა ჩაერთოს. მათ შორის ის რაიონები სადაც პოლიტიკური ოპოზიციას არ გვქონდა შესაძლებლობა, გავცნობოდით ადგილობრივების პრობლემებს. ახლა უკვე ამის საშუალება მოგვეცემა.

— რა რესურსით, რა საშუალებებით აპირებთ ხელისუფლების შეცვლას?

— გვსურს ვიცხოვროთ უკეთეს და დემოკრატიულ სახელმწიფოში, ამიტომ მიზნის მისაღწევად აბსოლუტურად ყველა რესურსს გამოვიყენებთ. პირველ რიგში, იმ დიდ სიყვარულსა და რეიტინგს, რითაც ბიძინა ივანიშვილი სარგებლობს. ასევე ჩვენი მხრიდან აუცილებელია საზოგადოებას მივართოთ მაქსიმალურად სწორი და მართლზომიერი გეგმები. გამოვიყენებთ ასევე ფინანსურ რესურსსაც, რომელსაც მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი აქვს იმ ტიპის საარჩევნო ბრძოლაში, რაც წინ გველოდება.

— არაერთხელ გვინახავს პოლიტიკური გაერთიანებები „ალიანსი“, „რეიანი“, შემდეგ „ექვსიანი“. რა იქნება გარანტორი, რომ უახლოეს მომავალში კოალიცია იგივე ბედს არ გაიზიარებს?

— გარანტორია ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, მისი გავლენა, ნდობა. ეს იმ ტიპის ლიდერია, რომელიც გაერთიანებასთან ასოცირდება და არა დანაწევრებასთან. ჩვენ როცა დამოუკიდებლად ვმუშაობდით, არ გვქონდა სითანადო ფინანსური რესურსები, ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად წინააღმდეგობა გვქონდა ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, ამიტომ

დასახული ვერ განვახორციელებთ. დღეს ბიძინა ივანიშვილის სახით ისეთი გამაერთიანებელი ფაქტორი გამოჩნდა, გაჩნდა შანსი არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილის დამარცხების.

— ბიზნესმენს ამ ეტაპზე მოქალაქეობა კვლავ არ გააჩნია. ხელისუფლება თუ დათმობაზე არ წავა დამოუკიდებლად, როგორ წარმოვიდგენიათ თქვენი შანსები არჩევნებზე.



— საქართველოს, მოქალაქეობის არქონით ბიძინა ივანიშვილის რეიტინგს, ნდობას არაფერი დააკლდება. პრობლემები შეიძლება სამართლებრივი კუთხით შეექმნას. მაგალითად, ვერ დააფინანსოს პარტია და ასე შემდეგ. მზად ვართ, პრობლემების დიდი ნაწილი პარტიებმა საკუთარ თავზე ავიღოთ და დავეხმაროთ ბიძინა ივანიშვილს. ჩვენ გაგაჩნია სამართლებრივი სტატუსი და ამას აუცილებლად გამოვიყენებთ.

— უმრავლესობამ თქვენი და „ხალხის პარტიის“ კოალიციაში გაწევრიანების მოტივად ივანიშვილის ფინანსური რესურსისადმი ინტერესი დაასახულა. როგორია თქვენი არგუმენტი?

— ერთი რუსული გამოთქმაა, ადამიანი რა ღონეზეც გაუფუჭებულა, იმ ღონეზე აზროვნებს. ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩვენ რატომღაც ნულის ტოლფასი ვგონივართ. ფულადი ინტერესები რომ გვქონდა ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, როგორმე

მოვაგვარებდით. დღეს ფინანსურ რესურსებზე გაცილებით დიდ რესურსზეა საუბარი. ესაა სახელისუფლებო ბერკეტების ხელში აღება. ამიტომ მთავრობის წარმომადგენლების საუბარი სინამდვილეს მოკლებული და სასაცილოა. ბიძინა ივანიშვილის გვერდით ვდგავართ იმისთვის, რომ მასთან ერთად მოვიდეთ ხელისუფლებაში და ამ შემთხვევაში, ფინანსები მისი მისაღწევად ერთ-ერთი დეტალია.

— ფული, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკოსის გადაწყვეტილებაში დიდ როლს თამაშობს?

— გეტანხმებით, ფინანსური რესურსი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბიძინა ივანიშვილს ფულიც აქვს, ნდობაც, არის პატრიოტი ადამიანი, სარგებლობს საზოგადოებაში დიდი სიყვარულით, ამიტომ მის ირგვლივ შექმნილ კოალიციას სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის რეალური შესაძლებლობა ექნება.

— ბიძინა ივანიშვილს ფინანსური შესაძლებლობა რომ არ

არავის ეშინია, რადგან ბიძინა ივანიშვილმა ადგილობრივები სრული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყო.

— ოპოზიციის ნაწილი ფიქრობს, რომ კოალიციაში გაერთიანებულ პარტიებს გარკვეულწილად შეეზღუდათ პარტიული ხედვები, გეგმები, თქვენ რას ფიქრობთ?

— ყველანაირ შეზღუდვისთვის მზად ვართ. ყველა ხედავს, ყველა ფორმულირება, რაც საზოგადოებას მიეწოდება, ერთობლივად მოხდება კოალიციის სახელით. არჩევნებამდე არ ვაპირებ პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედო, გავაკეთო განცხადებები, ეს მხოლოდ კოალიციის ფარგლებში მოხდება. კოალიციამ ერთ გუნდად ერთ სისტემად უნდა იმუშაოს. ყველა ნაბიჯი კარგად უნდა გავაანალიზოთ, მითუმეტეს, წინ მიმე საარჩევნო პროცესი გველოდება.

— ცნობილია, კოალიციაში გასაწევრიანებლად კონსულტაციები სხვა პარტიებთანაც მიმდინარეობს. იმ შემთხვევაში თუ კოალიციაში ნინო ბურჯანაძე და მისი პარტია გაერთიანდება, დარებით გაერთიანებაში?

მის ფაქტორი შემოვა დარჩები კოალიციაში თუ არა?

— ასეთი ტიპის ინფორმაციის გავრცელებისგან თავს შევიკავებ. ყველაფერი თავის დროზე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება.

— არსებული საარჩევნო კოდექსის შეცვლას არაერთხელ ითხოვდი რეიანის, ექვსიანის ფორმატში, თუმცა ხელისუფლება დათმობაზე არ წავიდა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ოპოზიციური პარტიისთვის შეთავაზებულ რამდენიმე პუნქტს, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობაში უკვე აისახა. როგორ ფიქრობთ, არსებული საარჩევნო კოდექსის პირობებში, რა შანსები გაქვთ, შესაძლებელია დამოუკიდებელი არჩევნების ჩატარება?

— მინდა ვთხოვრათ, რომ მოქმედი კანონმდებლობა სამართლიანი არაა. საარჩევნო საკითხებში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური შემადგენელია (პოლიტიკოსი ნდობის, მხარდაჭერის რა რესურსით სარგებლობს) და არა საკანონმდებლო შემადგენელი. ჩატარებულმა გამოკითხვებმა ცხადყო, რომ მოსახლეობის 75 პროცენტი მზადაა წავიდეს არჩევნებზე. პოლიტიკაში 20 წელზე მეტია ვარ და ასეთი ციფრები არასოდეს დაფიქსირებულა, რაც ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ადამიანები, რომლებიც ხელისუფლების შეცვლის ერთადერთ მეთოდად რეკოლუციას მიიჩნევენ, ახლა სააკაშვილის შეცვლას, არჩევნების გზით, დასაშვებად მიიჩნევენ.

— რა იყო მიზეზი არჩევნებზე ხალხის პასიურობის, ვერ ამართლებდით მოლოდინს?

— საზოგადოება ოპოზიციას არ ენდობდა, არ ჰქონდათ იმედი, ოპოზიციას შეეძლო ხელისუფლების შეცვლა. დღეს უკვე ბიძინა ივანიშვილის საშუალებით ხალხში ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდა, გაჩნდა იმედი ხელისუფლების შეცვლის.

— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი დათმობს არჩევნებს?

— მალეა და არ უნდა არჩევნების დათმობა, ამიტომ თითოეულ საარჩევნო უბანზე უშედეგადად ბრძოლა იქნება. პროცესში საზოგადოებაც, თავის მხრივ, აქტიური ჩართულობა უნდა იყოს, იმისთვის დროულად მივაწვიოთ მიზანს, გავისტუმროთ მიხეილ სააკაშვილი.

— ბოლოს, როგორ შეფასებდით ბიძინა ივანიშვილის გამოხვლას? როგორ ფიქრობთ, ბიზნესმენმა იმ პრობლემებზე გააკეთა აქცენტი, რაც საქართველოში არსებობს?

— რეალურად ივანიშვილს ახალი არაფერი უთქვამს, რაზეც აქამდე პოლიტიკოსებს არ გვისაუბრია. მან ისაუბრა სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკაზე, ჯანდაცვის პრობლემებზე და ა.შ. სამწუხაროდ ისაა, რომ ეს ყველაფერი ჩვენთვის უკვე ოცნებად გადაიქცა. დღეს უკვე გაჩნდა შანსი, ყველაფერი, რაც ოცნების ჭრილში წარმოედგინა, რეალობად იქცეს. **მირანდა ნაბახტაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში www.saertogazeti.net შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე **საერთო გაზეთი**

გვესაუბრება კინორეჟისორი ბატონი რეზო ჩხეიძე.

როგორია დღეს ქართული პოლიტიკური რეალობა? თქვენ კარგა ხანია საქართველოში აღარ იმყოფებით, როგორ აღქმება გარედან აქ მიმდინარე პროცესები?

-ის, რომ საქართველო და ქართველი ერი ღუძღა და საჭირო იყო სულის შთაბერვა, ეს ჩემთვის აბსოლუტურად ნათელი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, ვერ ვიტყვი, რომ დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობდა. ერმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, თითქოს ყველაფერი სულერთი გახდა. დაეკარგეთ აფხაზეთი, ოსეთი და ამას შევვკუთ. როდესაც იმერეთისკენ მიდიხარ და გზად ქართლში გაივლი, იმ შენობებს რომ დაინახავ, სადაც ახალგორიდან დევნილები არიან შესახლებულნი, მის დანახვას მერჩია, გადამწვარი სოფლები მენახა. როცა უყურებ როგორ ცხოვრობს ხალხი აქ, რომლებიც შეჩვეულნი არიან მინდორს, თავის გარემოს, ჭვას, გვირილებს, ბატებს... როდესაც იქ მიხდება ჩავლა, თავს ყოველთვის გვერდით მივაბრუნებ ხოლმე, იმდენად დრამისა და ტრაგედიის გამოხატველია ეს ყოველივე. აღარ ვსაუბრობ სოციალური შეჭირვებულ მდგომარეობაზე, აღარც არის საჭირო საუბარი, იმდენად სახიერად და ხატოვნად ჩანს ეს უბედურება.

თქვენ ყოველთვის მონაწილეობდით მიტინგებსა და დემონსტრაციებში, თუმცა, არასდროს არცერთ პარტიაში არ ყოფილხართ...

-არ ვყოფილვარ არც ერთ პარტიაში კომუნისტური პარტიის გარდა და არ დაეწვიებ მის ბაგებას ახლა. იმ პერიოდში საქართველოში ძალიან ბევრი რამ გააკეთა. ქართველი ერის ტრადიციები შენარჩუნდა და ამაღლდა, თუნდაც განათლების სფეროში. ამ დროს გაძლიერდა ქართული უნივერსიტეტი, რომელიც 1918 წელს ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაიბადა. მისი როლი კომუნისტური მმართველობისას კი არ შემცირდა, არამედ განვითარდა და ამავე დროს ქართველების აზროვნების, პოლიტიკური, ისტორიული, ლიტერატურული, ფსიქოლოგიური დედაბოძი გახდა. ხალხი უნივერსიტეტის წინაშე რომ გაივლიდა, თითქოს ტაძრის წინაშე გადიოდა, ქუდს იხდიდა და პირჯვარს იწერდა. არა სახელია აქვს ახლა უნივერსიტეტს? დღევანდელი ხელისუფლება უმაღლეს სასწავლებლებს დაერია, ფიზიკულურის ინსტიტუტის გაუქმება შეიძლებოდა? რა დღეა სკოლები, შეიყვანეს უცხოელი მასწავლებლები. ქართული სკოლა ბრწყინვალე იყო, მოდელი გერმანული სკოლიდან გადმოიღეს, რა ჰქონდა მას საკრიტიკო? თუ რამ არ მოსწონდათ, დაემატებინათ რამე.

მე ამერიკულ პრესას კარგად ვიცნობ, სადაც წერენ, რომ მთავარი იარაღი ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, არის არა ატომური იარაღი, რომელიც მთლიანად გაა-

შტატიდან მომხსნენ. თანაც ეს ავადმყოფობის მერე სავადმყოფოში რამდენიმეთვიანი ყოფნის შემდეგ გავიგე. იცით, რომ საავადმყოფოებში სადაც მე ვიწე-ქი, სისტემატიურად ხორციელ-

რეჟისორია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, შეიძლება მისი განთავისუფლება მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი აზრი გამოხატა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ? რას ჰგავს ეს? ახალგაზრდა მთავრობა, ნუთუ მათ არ შეუძლიათ გააკეთონ ისეთი რეფორმები, რაც ერს ამ გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოიყვანს, როდესაც ხედავენ, რომ ქალები და მამაკაცები სანაგვე ყუთებში ეძებენ საჭმელს? ხალხის აზრს არ კითხულობენ, არ აინტერესებთ.

რატომ დახურეს ქართული კინო? იმიტომ ხომ არა, რომ ის ერის სულიერების წყაროა? კინოსტუდია „ქართული ფილმი“ შედიოდა თუმანიშვილის სახელობის თეატრი, ქართული მულტიპლიკაციის სტუდია, რომლებიც ჩვენს ბალანსზე იჯდა. ჩვენ ხელს ვუწყობდით


დენი სამეცნიერო ინსტიტუტები, მათი გაუქმებით აკადემია დაიკარგება, ახლა გავიგე ფსიქოლოგიის ინსტიტუტი დაკეტილია. ქართული ფსიქოლოგიის სკოლა მსოფლიოში მოწინავე გახლდათ და დღევანდელი პრაქტიკული ფსიქოლოგია დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიაზე“ დგას. მისი გამოყენება პოლიტიკაშიც შეიძლება და რეჟისორები მას მსახიობებთან მუშაობაში ვიყენებდით. შენ მსახიობი უნდა „დატენო“ ფსიქოლოგიურად და დაარწმუნო, რომ ის არის, მაგალითად, მეფე ერეკლე ან გიორგი სააკაძე. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიისა და მუსხელიშვილის მათემატიკის სკოლა აიღეთ, სად წავიდა ან ქართული მწერლობა სად დაიკარგა? რაშია საქმე? საქართველოში პოლსევიკების სისხლიან პერიოდში, როდესაც შორაპანთან, საბარგო მატარებლის ვაგონებში ხალხი დახვრიტეს, ასეთი ტერორის პერიოდში დაიწყო ქართული კინოს, კოტე მარჯანიშვილის თეატრის აღორძინება, მოვიდნენ „ციფერყანწელები“, ფიროსმანი, ლადო გუდიაშვილი, მოსე თოიძე, ელენე ახვლედიანი, სად არის ახლა ეს ყველაფერი, სად წავიდა? ქართველი ერი აუცილებლად გამოვა გაჭირვებიდან, მაგრამ საინტერესოა, როგორ გამოვა?

ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ საზოგადოება ორ პოლუსად გაიყო, საუბრობენ იმაზეც, რომ საზოგადოებაში დიდი იმედი გაჩნდა. როგორ ფიქრობთ, შეიცვლება რამე?

-აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ შეიცვლება. ხელისუფლებამ საკუთარი პოლიტიკის გადახედვა უნდა დაიწყო, რათა ხალხმა იწამოს და არა უცხოეთიდან მიღებული ბრძანებების საფუძველზე მართოს ქვეყანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ივანიშვილს, რომელიც თავისი განცხადებებით, გაცილებით ეროვნული ჩანს, ხალხი მხარს მას დაუჭერს არჩევნების დროს. სხვა გზა არ არის.

ჩემი აზრით, ყველაფერს ღმერთი წვეტს, ღვთისმშობელი გადაგვარჩენს მხოლოდ. თუ კიდევ ერთხელ გაცრუვდა იმედი, ხალხი ჯოგად გადაიქცევა და აღარ გვეყოლება აღარც გალაკტიონი, ფიროსმანი, მარჯანიშვილი. მე მაინც მაქვს იმედი, პესიმისტების აზრს არ ვიზიარებ. ხომ ერქვა ფილარმონიაში გამართულ პრეზენტაციას „ქართული ოცნება“? ვიჯექი და ვფიქრობდი, რა კარგად და ზუსტად იყო ეს ყველაფერი მოფიქრებული, ყველა ადამიანს ხომ გააჩნია საკუთარი ოცნება, რომლის პრაქტიკულად განხორციელება სურს? მეც მაქვს ჩემი ოცნება-ქართული ეროვნული კინოს აღდგენა და მისთვის ძველი, მსოფლიო ღირებულების დაბრუნება...

ნუცა დამიძაშვილი



rezo Chkheidze: mec maqvs Cemi ocneba _ qarTul i erovnul i kinos aRdgena da miSTvis Zvel i, msofi io di debis dabruneba...

ნადგურებს ფიზიკურად ქვეყანას, არამედ შეტევა ერის სულიერებაზე. ქართველმა უნდა დაკარგოს სულიერების გრძობა, ამიტომ ხორციელდება შეტევები ეკლესიაზე. ქართული თეატრი, კინო, მწერლობა ერის დროშაა. მწერლებისთვის შენობის წართმევა შეიძლებოდა? აქ ილიას, ვაჟასა და აკაკის ტრადიციებია, ვინც არ უნდა ყოფილიყო მისი ხელმძღვანელი, იქ ახალი თაობა მოდიოდა და ყალიბდებოდა. შეიძლებოდა კომპოზიტორებისთვის სახლის წართმევა? რომ არ ჰქონოდათ, უნდა მიეცათ, კი არ უნდა წაერთვათ.

მე ახლა მოსკოვში ვარ, ვახმოვანებ ჩემს გადაღებულ ფილმს და ყველა მეკითხება-რა მოუვიდა ქართულ კინოს? რა უნდა ვუპასუხო? აღარც ქართული ფეხბურთი გვაქვს, გარდაიცვალა მესხი, მეტრეველი, იამანიძე, ყიფიანი, მაგრამ ქართული თეატრისა და კინოს წარმომადგენლები ხომ ცოცხლები არიან? ფული არ არის? ეს ხომ წარმოდგენილი სიცრუეა.

ჩემი ქალიშვილი თამარიკო, დაახლოებით 3 წელი კვბ-ს ციხეში იჯდა, თქვენ ფიქრობთ, რომ მე კინოსტუდიის ხელმძღვანელის პოსტი დამატოვებინეს ან სურათის გადაღებაზე მითხრეს უარი? ახლა მიტინგზე ჩემმა რამდენჯერმე გამოჩენამ, განაპირობა ის, რომ „ქართული ფილმის“

დებოდა ზარები, აინტერესებდათ მართლა საავადმყოფოში ვიწექი თუ მიგრანტი ვიყავი, მამოწმებდნენ.

რობიკო სტურუა ქართული თეატრის ნოვატორი და დიდი

ახალგაზრდა კინორეჟისორებისა და ოპერატორების გაზრდას და ჩამოყალიბებას. თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირის დროს ვახერხებდით ქართული ეროვნული ხელოვნების შენარჩუნებას და სხვათაშორის, მაშინდელი მთავრობა ამაში გვეხმარებოდა. ამერიკასა და საფრანგეთში შეარქვეს სახელი-ქართული კინოს ფენომენი. ქართველ ხალხს დღეს ისე სჭირდება ქართული კინო, როგორც „პასუხი“ და ატომური ბომბი.

რამდენი დღის წინ ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე ბრძანდებოდით. თქვენ დიდი ხანია მას იცნობთ, როგორ დაახსიათებთ მის პიროვნებას?

-მე ბატონ ბიძინა ივანიშვილს მისი საქმეებით ვიცნობ. შემიძლია გითხრა, რომ ის ქართულ საქმეებზე გადამკვდარი ადამიანია. ივანიშვილი ზრუნავს შეჭირვებულ ხალხზე, საქართველოს მოწინავე ადამიანებზე, კულტურული შენობა-ნაგებობების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე. იცით, რა მდგომარეობაში იყო რუსთაველის საძირკველი? საძირკველი თითქმის ჩაშლილი იყო და წყალი იდგა, გადაარჩინა რუსთაველის თეატრის შენობა, ოპერის თეატრის შენობა, საქართველოს მუზეუმი გადაარჩინა, გრიშაშვილის სახლ-მუზეუმს არემონტებენ. „მეცნიერებათა აკადემიის“ მთავარი საყრ-



„საერთო გაზეთის“ სტუმარია „სახალხო კრების“ წევრი ირაკლი ბათიაშვილი.

ბატონო ირაკლი, „რესპუბლიკელებმა“ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა შეაფასეს, როგორც ლოგიკური, ზომიერი, გამართული. თქვენ რას ფიქრობთ?

ეს იყო აშკარად გონიერი ადამიანის გამოსვლა, სადაც სწორად, ადეკვატურად, შეფასდა შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა. სიტყვით გამოხატვის ბიძინა ივანიშვილი შეეცა თითქმის ყველა პრობლემას, რაც ჩვენს ქვეყანაში არსებობს. ესაა სოციალური, სასამართლოს საკითხები, ეკონომიკური და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები, განათლება და ა.შ. პირადად საინტერესო აღმოჩნდა ის პასაჟები, რაც ბიზნესთან დაკავშირებით გააკეთა, თუ როგორ გადავარდა ბიზნესი რომელიც, დღეს ის უკვე სახელმწიფოსთან ინტეგრირებული გახდა.

მთლიანობაში საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ყრილობა იყო საქმიანი, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული ბიძინა ივანიშვილის ზოგიერთი რაციონალური გამოსვლა იყო.

ნუკრი ქანთარია ბიზნესმენის გამოსვლა, საერთო ჯამში, დადებითად შეაფასა. თუმცა აღნიშნა, რომ ივანიშვილისგან პრობლემების გადასაჭრელად, კონკრეტულ გეგმებს მოელოდა. თქვენც გქონდათ მსგავსი მოლოდინი?

გახსოვთ, ალბათ, ფილარმონიაში „სახალხო კრების“ მასშტაბური ყრილობა, სადაც საკმაოდ სერიოზული გამოსვლები გვექონდა. მინდა ვითხრა, რომ შეუძლებელია მსგავსი ტიპის შეკრებების რაიმე კონკრეტული გეგმების პრეზენტაცია. იმისთვის, რომ დამსწრე აუდიტორია არ გადაიღალოს, გამომსვლელებმა მაქსიმუმ, 15 წუთი უნდა ისაუბროს. ბიძინა ივანიშვილი დროის ამ მონაკვეთში, ფაქტობრივად, ვერ ისაუბრებდა პრობლემის გადაჭრის გზებზე.

ყრილობის ორგანიზატორებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ ღონისძიების გრანდიოზულ მოვლენად გადაქცევა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი არჩიეს უფრო სადა და ნაკლებად მევირაღა ყოფილიყო.

ყრილობას „სახალხო კრების“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ნონა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ივანიშვილისა და კრების მოსაზრებები საკმაოდ ბევრ სა-



საზოგადოება დათრგუნული და დაშინებულია. ადამიანები ვისაც გულწრფელად არ უნდათ „ნაც-მოძრაობა“ და მისი დამკვირვებელი არ ფაქტორის გამო პოზიციას ვერ აფიქსირებენ. სამწუხაროდ, იგივე სიტუაცია იკვეთება არჩევნების პროცესშიც. არჩევნებზე საუბრისას მნიშვნელოვანია საარჩევნო სიები, დამკვირვებლების საკითხი, ცესკოს შემადგენლობა, მაგრამ უმთავრესია ის მექანიზმები, რასაც არჩევნების წინ იყენებს ხელისუფლება, ესაა დაშინება და ხალხის მოსყიდვა.

შეი, რუსეთზე ლაპარაკობენ. ჩვენი სამშობლო საქართველო და არა რუსეთი.

როცა საუბრობენ, რომ ქართული ოპოზიცია ნულია, შეგახსენებთ, რამდენიმე წლის წინ ოპოზიციას ქუჩაში გამოჰყავდა 80 000 ადამიანი, დაახლოებით 12 000 კაცი იპოდრომზე გამოვიდა. „სახალხო კრებამ“ კი მხოლოდ საკუთარი რესურსით მაისის მოვლენების დროს 30 000 ადამიანი გამოიყვანა, ანუ ის რაოდენობა, რაც დღეს მოსკოვშია გამოსული.

აღნიშნული მიზანს ტელევიზიებზე იმ მიზნით ხორციელდება, საზოგადოებას დაანახონ თითქოს რუსეთის ხელისუფლება დამსობის პირასა და ამით საქართველოს

შანსი სააკაშვილის ხელისუფლების შესაცვლელად?

ჩვენს ქვეყანას და ხალხს მუდმივად ჰქონდა უფლის მფარველობა, არსებულზე გაცილებით რთული პერიოდი გვექონია, მაგრამ ფენიქსით აღმდგარა საქართველო, ამიტომ შანსი ყოველთვის გვექონია, გვაქვს და გვექნება, მთავარია, შანსის სწორად გამოყენება.

სამწუხაროდ 20-წლიანი პოლიტიკური გამოცდილების მიუხედავად, პოლიტიკოსები ამ კუთხით უმწიფრები, ჩამოუყალიბებლები ვართ. დროულად თუ არ მივიღებთ შესაბამის ზომებს მანკიერი, ავტორიტარული რეჟიმის შესაცვლელად, შესაძლოა, გაცილებით რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ.

irakli batiasvili: `saxal xo kreba~ yvel asTan iTanamSroml ebs vinc droul ad daasrul ebs am avtoritarul reJims... magram samomavl od bevri ram ivaniSviI zea damoki debul i

კრება თავიდანვე მიესალმა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას და ყრილობაზეც პრინციპულად განსხვავებული არაფერი თქმულა. „სახალხო კრება“ ითანამშრომლებს ყველა იმ პირთან, პოლიტიკურ პარტიასთან და არასამთავრობო ორგანიზაციასთან, ვინც დროულად დაასრულებს ავტორიტარულ რეჟიმს და ქართული საზოგადოება დამოუკიდებელი არჩევნების პირობებში შეძლებს აირჩიოს ის, ვინც სურს.

„სახალხო კრების“ წარმომადგენლებს არაერთხელ გვითქვამს, რომ არსებული რეჟიმის პირობებში თავისუფალი დამოუკიდებელი არჩევნების ჩატარება გამორიცხებულია. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ ვითარება შეცვალა, გაჩნდა შანსი, არჩევნების გზით შეიცვალოს ხელისუფლება. ივანიშვილის ფაქტორის მიუხედავად, მაინც საეჭვოდ რჩება არჩევნების საშუალებით დამობის, თუ არა სააკაშვილი ძალაუფლებას.



არჩევნები თუ კვლავ გაყალბდება, შესაძლებელია საქართველოში იგივე სიტუაცია განმეორდეს, რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და რუსეთშია?

არჩევნების გაყალბებამ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაში ისეთი ვნებათაღელვა გამოიწვია, კოკითი იძულებული გახდა დამობებზე წასულიყო და გადაემდგარიყო. მოსკოვს რაც შეეხება, მართალია, მოქალაქეებმა დაძლიეს შიში და გამოვიდნენ, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. 10 მილიონიანი მოსკოვისთვის 30-40 000 აქციის მონაწილე არაფერია. ამიტომ ის ისტერია, რაც „ნაცმოძრაობის არხებზე“ ატეხილი, სინამდვილეს მოკლებულია, ნაცვლად იმისა, გააშუქონ ის მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა რაც ქვეყანა-

მთავრობა გაიმარჯვებს. „სახალხო კრება“ აბსოლუტურად ყველგან, ყველა ქვეყანაში მიესალმება გამოხატვებს, აქციებს, რომელიც მთავრობის არჩევნების შედეგების დასაცავად, სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად.

ბიძინა ივანიშვილს ხალხის დიდი ნდობა აქვს. თქვენი აზრით, რა ნიშნით აირჩია იგი ხალხმა: ქარიზმით, პროგრამით, თუ ქველმოქმედებით?

პირველ რიგში, ხალხმა ბიძინა ივანიშვილი საკუთარი საქმეებისა და ქველმოქმედების გამო მიიღო. ბიზნესმენის სახელის უკან უბრალო ლაი-ლაი არ დგას.

ჭაბუა ამირეჯიბმა საზოგადოებას მოუწოდა, „ღმრთივ ბოძებული შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვან“. ივანიშვილი არის ბოლო

„ქართული ოცნებას“ საზოგადოების გაერთიანების ფუნქცია დაეკისრა. არაერთხელ გვინახავს გაერთიანებული საზოგადოება, თუმცა რეალურ შედეგამდე მისული არასოდეს. თქვენი აზრით, „ქართული ოცნება“ მოახერხებს ქართველების კონსოლიდაციას?

ბევრი რამ, მათ შორის სამომავლოდ მოვლენების განვითარება დამოკიდებულია ივანიშვილზე და მის გარემოცვაზე. მათი მხრიდან სწორი ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისთვის, რომ შეძლონ საზოგადოების უმრავლესობის კონსოლიდაცია. რეალურად ქვეყანაში ამის შესაძლებლობა და შანსები არსებობს, ჯერი ივანიშვილზეა.

მირანდა ნაბახტაშვილი

ინილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში

www.saertogazeti.net

შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე

საერთო გაზეთი

კითხვებში ემთხვევა. კონკრეტულად რა საკითხებზეა თქვენი აზრთა თანხვედრა?

ნონა გაფრინდაშვილი, მოგეხსენებათ, „სახალხო კრების“ თავმჯდომარეა, მაგრამ თავად ნონა, რეზო ესაძე, სოსო ჯაჭვლიანი, ყრილობაზე მიწვეულნი იყვნენ, როგორც საზოგადოების წარმომადგენლები. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ღონისძიებას პარტიონი პოლიტიკური პარტიის გარდა არცერთი პოლიტიკოსი არ ესწრებოდა. ქალბატონ ნონას განცხადებას რაც შეეხება, მან გააუღერა ის, რაც „სახალხო კრების“ წარმომადგენლებს არაერთხელ გვითქვამს.

თქვენი აზრით, არ შეიძლება კვლევებს ბოლომდე დავეყრდნობ?

ბიძინა ივანიშვილს საზოგადოების მხრიდან აქვს უზარმაზარი მხარდაჭერა და თანადგომა, თუმცა მხოლოდ ეს არაა საკმარისი არჩევნებში გასამარჯვებლად. იმას, რომ სააკაშვილი დანებებას არ აპირებს „აი-რა-ის“ კვლევებიდანაც გამომდინარეობს. თქვენ მართლა გჯერათ, რომ პროცესულად სააკაშვილი უსწრებს ბიძინას? უბრალოდ გადით ქუჩაში და ნახავთ რა რეაქცია აქვთ ხალხს სააკაშვილის ხსენებაზე, თბილისსა და რეგიონში.

გაყალბებულია კვლევის შედეგები?

იღვ ივანიშვილის მოძრაობას ხელისუფლების ანარქია უწოდებს



ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა ბიძინა ივანიშვილის „უსახელო მოძრაობას“ ხელისუფლების ანარქიულ უწოდებს და აცხადებს, რომ ქვეყანაში ორი პოლიტიკური პოლუსის ჩამოყალიბების მცდელობა მიმდინარეობს. ერთი პოლუსი ხელისუფლებაა, ხოლო მეორე, ხელისუფლების ანარქიული ივანიშვილის ჯერ უსახელო მოძრაობა. ამის შესახებ ქარდავამ დღეს ქუთაისში, სასტუმრო „ბაგრატი“ გამართულ პარტიის რეგიონულ კონფერენციაზე განაცხადა. ქარდავა აცხადებს, რომ ამ პოლიტიკური მოთამაშების მხრიდან დასავლეთზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალების გვერდზე ჩაწევს მცდელობა უშუალოდ დასრულდება. „ასეთ ვითარებაში მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ქვეყანაში მესამე პოლიტიკური ცენტრის, ე.წ. ზომიერი, ცენტრისტული და დასავლეთზე ორიენტირებული ძალების გააქტიურების აუცილებლობა, რომლებიც არ მისცემენ საშუალებას არც ხელისუფლებას და არც ივანიშვილს და მის გარშემო შეკრებულ ერთი დღისთვის შექმნილ პარტიებს პოლიტიკური ველის მონოპოლიზების საშუალებას“, - განაცხადა ქარდავამ. „მედიაინფო“

avtoritarul i rejimis dros nebi smieri sociol ogiuri kvl eva bl efia



პროცენტს არ ემინია არსებული ხელისუფლების. რაც შეეხება პასუხს: „არცერთი/თავი შეიკავა/მიწვირა პასუხის გაცემა“ – ეს ერთი სიტყვით ნათქვამი, დაახლოებით ამგვარი შინაარსის შემცველი ფრაზაა – „რა ვიცი რა ხდება, სვობს, მოვიცადო“, ან „ორი თავი კი არ მაქვს, სიმართლე ვთქვა“ და მისთანები, ანუ მედროვეებისა და შემინებული მოქალაქეების პროცენტია, რომელიც სიტუაციის და მიხედვით ხდება რეალური კანდიდატის რეალური ამომრჩეველი.

სოციოლოგიურ კვლევას მხოლოდ იმ ქვეყნებში აქვს აზრი, სადაც პირუტყვის თავისუფლების ხარისხი იმდენად მაღალია, სადაც ადამიანს შეუძლია დაფიქსიროს საკუთარი აზრი ისე, რომ არ შეეშინდებოდეს სამსახურიდან გამოდების (საქართველოს სინამდვილეში სწორედ ასე ჰქვია, „დათხოვნა“ ცივილიზებული ფორმით). შემინებული ადამიანთა კატეგორიისთვის, უკვე უცვლელ მოცემულობად დღეს მათ გონებაში, რომ ადამიანის ერთი „ანტი-საკანონო“ ფრაზა საკმარისია იმისათვის, უკეთეს შემთხვევაში უშუალოდ შეეშინდებოდეს, უარესში კი საკმარისად რომ გაწიროს საკუთარი ოჯახის წევრი ან წევრები.

„აი-რ-აი-ს“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლებიც სახელისუფლებო ტელევიზიებით გადაცემა 7 დეკემბერს, როგორც ვგამოცნეს, კითხვარის მხრივ, სრული არ იყო, მაგრამ რაც მთავარი იყო, ის ხომ უცვლელად დარჩა.

საქართველოს მასშტაბით 27 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე გამოკითხული იქნა 4 000 ადამიანი. არავის აღნიშნავს, რა მეთოდით ჩატარდა კვლევა, პირისპირი ინტერვიუთი, სატელეფონო გამოკითხვით, ვინაობის მითითებით, ვინაობის დასახელების გარეშე თუ... და ა.შ.

რას ემსახურებოდა „აი-რ-აი-ს“ შედეგების ორ კვირაში ორჯერ „გამოცნობა“, ამაზე ერთი პასუხი აქვს არაერთ ადამიანს, – ვინაიდან ცნობილი იყო, რომ უნდა გამოქვეყნებულიყო „საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის“ დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც ჩაატარა „სოციოლოგიური კვლევების ცენტრმა“ (ე.წ. კაკაგაჭიშვილის უწყება), ობიექტურად ცნობილი ცენტრის მონაცემები, შედეგების დაგვარად, უნდა გაქარწყლებულიყო.

„აი-რ-აი-ს“ კითხვა: – შემდეგ კვირას რომ საპარლამენტი არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 42%

ბიძინა ივანიშვილის პარტია – 18%

ქრისტიან-დემოკრატიული პარტია – 8%

ლეიბორისტული პარტია – 3%

სხვა პარტიები ერთად – 4%

არცერთი – თავი შეიკავა – 25%

(მონაცემები „რუსთავე-2-იდან“ არის აღებული)

ვინც ყურადღებით აღენებდა თვალყურს სოციოლოგიური კვლევის შედეგებს, აუცილებლად შეინიშნავდა, რომ საინფორმაციო წყაროები განსხვავებულ ციფრებს ასახელებდნენ. საყურადღებოა, რომ „აი-რ-აი-ს“ ოფიციალურად არ დაუდასტურებია ის ციფრები, რაც გამოქვეყნდა, ამდენად, საკითხავიც კი არის, მართლა მან ჩაატარა სხეული კვლევა, ან მართლა მისი დაკვეთით ჩატარდა? (ისე, ამგვარ შემთხვევას ინფორმაციის „კლასიკური გაჟონვა“ უფრო ჰქვია, რომელზეც შემდგომ გარკვეული პროპაგანდისტული ხაზის აწყობა ხდება.)

„აი-რ-აი-ს“ ვგვლავს სანდო ოპოზიციური ლიდერის რეიტინგიც „დაადგინა“.

გიორგი თარგამაძე – 22%

ბიძინა ივანიშვილი – 21%

შალვა ნათელაშვილი – 4%

ირაკლი ალასანიძე – 3%

ფაქტობრივად, გამოვიდა, რომ საზოგადოებამ „აი-რ-აი-ს“ სახელით სახელისუფლებო ტელევიზიების მონაცემები იხილა. თუ გავითვალისწინებთ ჟურნალისტ ნანა ლეჟავას მასალას, სადაც საუბარია იმაზე, რომ სამ სატელევიზიო არხს, კანცელარიიდან გვზავდება სატელევიზიო ბადის გეგმა და მითითებები, როგორ უნდა მომზად-

დეს საინფორმაციო გამოშვება, ეს გვეკვირვება. (რესპონდენტები არიან „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საბჭოს წევრი 2 წლის განმავლობაში შორენა შავერდაშვილი და „მოამბის“ ერთ-ერთი პროდიუსერი 2007 წელს ეკა ფირცხალავა) რავინდ მონაცემი დაიდოს, ხომ ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მაინც, მტკნარი სიცრუის შედეგთან გვაქვს საქმე, თუ რა თქმა უნდა, გამოკითხვა გიორგი თარგამაძის ნაცნობ-მეგობრების და სახელისუფლებო წრეში არ ჩატარდა.

„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა, რომელიც ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. (11-22 ნოემბრის მონაცემები) გამოკითხა 3 000 რესპონდენტი საქართველოს 11 რეგიონში (თბილისის ჩათვლით) ოჯახებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ცდომილება 95%-იანი საიმედოობისათვის არ აღემატება, 1, 8%-ს.

კითხვა: – ხვალ რომ საპარლამენტი არჩევნები გაიმართოს, რომელ პოლიტიკურ ძალას დაუჭერდით პირველ რიგში მხარს?

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 36%

ბიძინა ივანიშვილის პარტია – 32%

ქრისტიან-დემოკრატიული პარტია – 4,3%

ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს, რომელ პოლიტიკურ ძალას დაუჭერდით მხარს მთავარ რიგში?

ბიძინა ივანიშვილის პარტია – 12,4%

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა – 12,2%

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 8,8%

ამ შემთხვევაში „აი-რ-აი-ს“ რაღა უთხრას, როცა, მომიტყვევებთ და, ვერაფერი გაგიგებ ამ უცნაური



7 gv.

ული პირი და ბოლოს ამას დამატა 2 ბიზნესგაგუფი. ეს ჯგუფები მარტივად შეირჩა. ზოგ კომპანიას 15 სხვადასხვა დამფუძნებელი ჰყავს და ყველა მათგანთან შეთანხმება, მითუმეტეს დანაშაულზე წასვლა არ იქნება მთლად მარტივი. კოლეების ოჯახს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. ასეთი ბიზნესგაგუფები, სადაც ხელისუფლების სხვადასხვა დონის წარმომადგენლები პირდაპირ თუ ირიბად არიან ჩართულნი, არცოლ ცოტაა.

– მართლაც პარადოქსიაა, რომ ამ ბიზნესგაგუფებს დამალული თანხებისთვის ხელისუფლება არ სჯის, ერთი ნაჭერი პურის მოპარვისთვის კი რიგობა მოქალაქე შეიძლება წლები გაატაროს ციხეში.

– დიას, როდესაც ციხეში ვიჯექი კამერაში ახალგაზრდა ბიჭი შემოიყვანეს, რომელსაც ბრალად ნარკოტიკების გასაღება ედებოდა. მას 5 ათასი ლოლარი გადაახდევინეს და გაუშვეს. რა გამოდის, იგი აღარ არის ნარკოტიკების გამსაღებელი? როგორ შეიძლება, ნარკოდილერთან საპროცესო შეთანხმება გააფორმო. მაპატიეთ, მაგრამ მოვკლავ კაცს, მე-

რატომ არ მოცნდნენ მოქალაქეებს ბანკის კლიენტების ბიუჯეტის კურდები?

რე ვაღიარებ და სახლში გამიშვებენ? მაღაზია რომ გავტეხო, მერე ვაღიარო და ფულიც დავაბრუნო, აღარ დამიჭერენ?

– ბატონო ნოდარ, შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით ხომ არ არსებობს საფრთხე, რომ მომავალი კლიენტი დაფრთხება და გადაიფიქრებს ქართულ ბანკში აქტივების განთავსებას?

– სიმართლე ვითხრათ ახალი კლიენტების მოძიებით დაინტერესებული აღარ ვარო. რასაკვირველია ეს ზეწოლა თუნდაც იმ კუთხიდან გამოძინდარე, რომ საკრედიტო აქტივობა შევამცირეთ, კლიენტებს ავტომატურად გვაკარგვინებს – შესაძლოა და არსებულსაც. მაგრამ ქართული საზოგადოების დიობა ბანკისადმი კვლავ დიდია. მხარდამჭერი პროცესი კვლავ გრძელდება, დღეს 22 ათასზე მეტი მენაბრე გვყავს, მაშინ როცა ამ აქციის დაწყებამდე 870 ანაბარი

გვექნა, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოებას რწმენა არ დაუკარგავს.

– საუბრის დასაწყისში ასხენეთ, რომ კანონი ცვლილებები არცერთი სხვა ბანკის შემოფოტების მიზეზი არ გამხდარა.

– გვაქვს საფუძვლიანი გეგმა, იციან, რომ ეს კანონი მათ არ შეეხებათ. მოუწოდებ კარგად გაიაზრონ – მათ ეს ყველა შემთხვევაში შეეხებათ ირიბად, მაგრამ მტკივნეულად. ქართულ ბანკის პრეცედენტში,

ბიზნესის თავისუფლების თვალსაზრისით, თავისთავად მნიშვნელოვანია. ეს არის უპრეცედენტო მაგალითი, როცა ბიზნეს-სტრუქტურამ ხელისუფლების ვოლუნტარიზმის წინააღმდეგ ხმა აღიმართა. ზოგადად ბიზნესი დატერორებულია. დღეს სირცხვილი აღარ არის შიშის აღიარება მაკაცის მხრიდანაც. ცოტა ხნის წინ ნაკვეთი ავედი, მეზობელმა მამაკაცმა თანამდებობა მომილოცა, თან მითხრა – ვერ დავირეკე შემეშინდა რამე არ მომსვლიდაო. მაპატიეთ, მკითხველთან, მაგრამ პირდაპირ მითხრა გილოცავ რომ გამბედავი ხარ, მაგრამ მე ქვეშაფსია ვარ და ტეფონზე ვერც კი დავიბრუნე, რათა არ დაფიქსირებინათ, რომ შენი დანიშნა გამიხარდაო. ეს ქართული საზოგადოების სენია.

– ბოლოს იქნებ დააბატირებული თანხის შესახებაც გვითხროთ, რა ვითარებაა ამ მხრივ?

– არაფერი არ ვიცი. ორი დღის



წინაც მოვითხოვე ვითარების გარკვევა. ჩვენი იურისტები კაზუსტიკურ მდგომარეობაში მაყენებენ, მეუბნებიან არ გვაქვს სარჩელის აღძვრის საფუძველი. ფაქტია, რომ ეს არ იყო ფულის გათვრების ოპერაცია. ეს მაგდა რომ არ შეიძლება ტანკი იყოს, ამას გამოძიება უნდა? მეუბნებიან, გამოძიება მიმდინარეობსო, არადა გამოსაძიებელი არაფერია. ეს მაგდა ვერანაირად ტანკად ვერ გარდაიქმნება, ის კიდევ მეუბნება ოთახში ტანკი გიყენიაო. კაზუსტიკაა, აბა რა არის, როცა არ გვაქვს უფლება შსს-ს წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი აღვძრაო.

თამარ შველიძე

P.S. „საერთო გაზეთმა“ პირველი და მეორე ჯგუფის კომპანიების შესახებ ინფორმაცია მოიპოვა. ერთი შეხედვით, ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. კერძოდ, რატომ გადავიდა შსს-მ „კავკასიის უბრავე ქონების ჯგუფმა“ და შსს „1+1“-მა ქონება შსს „პირიზზე“ და როგორ მოხდა, რომ ამ ქონებას უკვე მეორე დღესვე ასმილიონანი ყაღდა დაეღო. „საერთო გაზეთი“ დაუკავშირებდა აღნიშნული კომპანიის ხელმძღვანელებს და დამატებით ინფორმაციას მომავალ ნომერში შევითვალისწინებთ.



პროცენტებისა რეგიონისათვის მიმართებაში, რას ჰქვია მეორე რიგში? ან რატომ აღარ ჩანს, ვის მისცემდა ამომრჩეველი ხმას მესამე რიგში? ამგვარი მიდგომით ხომ მესამე რიგში ხმის მიცემულები პირველ რიგში აღმოჩნდებოდნენ, - ამგვარად დასმული შეკითხვის არსი ვერ გავიგე, თუმცა, არც პროცენტების თამაში აღმოჩნდა გასაგები. ვთქვათ, ნაციონალური მოძრაობის პირველ რიგში არჩევისას მიღებული 36% მეორე რიგში არჩევისას რატომ გახდა 8%, სად გაიფანტა და რატომ 28%. მიუხედავად დიდი ინტერესისა, პირადად მე ვერ გავიგე (ვერც ბევრმა სხვამ) სოციოლოგიური კვლევების შედეგების „ამბავი“. კვლავ მომიტყვევო და, თუ ჩვენ, ხალხმა, არასოციოლოგებმა ვერაფერი გავიგეთ და არც გვისხნის არავინ, შეკითხვა მაქვს, - ვისთვისაც ჩაატარდა ეს კვლევები და ვის ინტერესებშიც არის საერთოდ, ამგვარი კვლევების შედეგები, პირდაპირ მისთვის დაელოთ წინ, რას ატრიალებდნენ მთელი დღე მოსახლეობისთვის?

გვინდა თუ არ გვინდა, გვასმენინებდნენ და გვაცქერინებდნენ სოციოლოგიური კვლევების მიხედვით „აღმოჩენილ“ საზოგადოების „უპირობოდ“ რჩეული პარტიის წევრების კომენტარებს კვლევის შედეგებზე, რომლებიც გაცივსკროვებულნი სახეებით, თითქოს ვიდაცას ნიშნს უგებენ...

ახლოვდეთ სხვა სურათია ინტერნეტ-გამოკითხვის შემთხვევაში, როცა არანაირად არ ფიქსირდება ხმის მიმცემის ვინაობა.

ინტერნეტ-გამოკითხვის ინიციატორი პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფალი საქართველო“. (3 დეკემბრის მონაცემები)

კითხვა: - ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელ პარტიას დაუჭერდით მხარს?

„ქართული ოცნება“ (ბიძინა ივანიშვილი) - 51, 46%

დემოკრატიული მოძრაობა (ნიკო ბურჯანაძე) - 10, 11%

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (მიხეილ სააკაშვილი) - 5, 62%

თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა) - 10, 34%

ქრისტინა-დემოკრატიული პარტია (გიორგი თარგამაძე) - 0, 22%

ინტერნეტ-გამოკითხვაში ყველა პარტია დასახელებული, მაგრამ მე მხოლოდ იქამდე მოგაწოდეთ სურათი, სადამდეც ამ გამოკითხვაში სხვა ორ გამოკითხვაში მოყვანილი პარტიები არიან „მოწინავე“ სამეულში. (აღსანიშნავია, რომ „ედუ“ (მამუკა ქარდავა) 0 %-ზეა გაშვებული)

ის, რომ საქართველოს პოლიტიკური სამყარო ორპოლუსიანია, ამაზე ახლა მანც უნდა „ასწიონ ხელები“ ქრისტინა-დემოკრატიკმა, სხვას ვერ ატყუებენ და საკუთარ თავს ხომ არ მოიტყუებენ იმის ძახილით, რომ მესამე პოლუსი ისინი არიან. ყველა-ყველა და, საქართველოში მანც იციან, რომ ისინი პირველი პოლუსის საპარლამენტო განაყოფი არიან...

სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები, რეგითი მოქალაქისთვის, შეიძლება, საინტერესოც კი იყოს ერთგვარად, მაგრამ სინამდვილეში ხომ ასე არ არის. სოციოლოგიური გამოკითხვა, გარდა იმისა, რომ ასახავს ვითარებას, საზოგადოებრივ განწყობას ქმნის, მითუმეტეს, როცა 25-ე კადრად ჩაგაძინან ერთსა და იმავეს...

ალბათ, სადავო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ შიშის ფაქტორი შე-



დარებით მაღალია რეგიონებში, რაც აისახა კიდევ სოციოლოგიურ კვლევებში მეტნაკლებად, მაგრამ რეგიონების სურათი, მეორეს მხრივ, ძალზე საინტერესოდ გადმოიშალა.

ეს არის მონაცემები კითხვაზე, „ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს, რომელ პოლიტიკურ ძალას, დაუჭერდით მხარს პირველ რიგში?“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შედეგები რეგიონების მიხედვით:

სამცხე-ჯავახეთი - 71, 7%
სამეგრელო, ზემო სვანეთი - 52, 7%
ქვემო ქართლი - 46, 3%
შიდა ქართლი - 42, 9%
რაჭა-ლეჩხუმი - 42,1 %
აჭარა - 35, 9%

იმერეთი - 43, 8%
თბილისი - 39, 6%
გურია - 24, 6%
მცხეთა-მთიანეთი - 41, 8%
ალბათ, თვალშისაცემია სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის მონაცემები, რომელსაც, ცხადია, ახსნა აქვს, მაგრამ დღეს მხოლოდ კვლევებზე ვსაუბრობთ.

„აი-უ-აი-ს“ გამოკითხვაში პოლიტიკური ლიდერების რეიტინგიცაა, რომლის მიხედვით, სააკაშვილი მამუკა ქარდავას გამოკითხვითა 74% ყოფილა კეთილგანწყობილი. არ მახსოვს ვინ თქვა, მაგრამ ალბათ, უნდა დავეთანხმო, შეიძლება, მართლაც იყოს ასეთი სურათი, რადგან ადამიანთა სამი კატეგორიაა, ნამდვილი მიმისტები, შიშისტები და აფერისტები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პატიმრების

სახელმწიფო სექტორში დასაქმებული - 21,3 %
კერძო სექტორში დასაქმებული - 37%
თვითდასაქმებული - 41,3 %
სტუდენტი პენსიონერი - 37,7 %
უმუშევარი - 36,4 %
„ნაციონალებს“ მხარდამჭერთა საერთო სურათი დასაქმების კრილში:
სახელმწიფო სექტორში დასაქმებული - 52,1 %
კერძო სექტორში დასაქმებული - 28,1 %
თვითდასაქმებული - 27,4 %
სტუდენტი/პენსიონერი - 32,6 %
უმუშევარი - 29,6%
მე, პირადად, რა ვქნა, არ მჯერა, რომ უმუშევართა 30 % იმ ხელისუფლებას შეჰხაროდეს, რომელმაც უმუშევარი დატოვა; ანდა, თვითდასაქმებულთა 27%, რომელშიც, ალბათ, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი იგულისხმება; ან სტუდენტების თითქმის 32 %, რომელთა შობილებიც გროვებით შეკოწიწებულ ფულს იხდიან მისი განათლებისთვის (ვითომ განათლებისთვის) და მათხოვრულ პენსიაზე მიბმული პენსიონერები, ამხელა გაღასხადების და პირველადი მოხმარების პროდუქტებზე უსაშველოდ გაზრდილი ფასების ფონზე.

საინტერესოდ მომეჩვენა ერთმანეთს მიღებული ორი კითხვა: - ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა პოლიტიკაში ჩართვა, საკუთარი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება და 2012 წლის საპარლამენტო არ-

მიჭირს პასუხის გაცემა - 13,9 %
კიდევ ერთხელ მომიტყვევო, მაგრამ კვლავ ვერაფერი გავიგე, ან კითხვები არასწორად დასმული, ან მოქალაქეები ვერ აცნობიერებენ, რას ეკითხებიან, ან ვიდაც ვერ ითვლის პროცენტებს სწორად, ანუ ჩაყრილია ან ამოყრილია პროცენტები. სხვაგვარად ვერ ვფიქრობ, რადგან ეს ორივე კითხვა ერთი და იგივე კითხვაა, ოღონდ სხვადასხვაგვარად დასმული.

თუ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გამოკითხულთა 34 % ემხრობა, იმავე პირობების პირველ ნაბიჯებს პოლიტიკაში ძალზე დადებითად რატომ მიიჩნევენ 24 %-ილა, სად წავიდნენ დანარჩენები და რატომ? ამ დროს თითქმის უცვლელი რჩება „უფრო ვემხრობი, ვიდრე არა“ (22,9 %) და „უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად“ (22,1 %).

ამ ორი კითხვას მოსდევს მესამეც და არანაკლებ დასაბნევი შედეგით. კითხვა: - რა მოლოდინებს უკავშირებთ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამორჩენას ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის?


პოლიტიკაში, ივანიშვილის სახით მოვა ახალი ძალა, რომელიც ქვეყანაში ვითარებას უკეთესობისკენ შეცვლის - 52,8 %
ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით ქვეყანაში არსებული ვითარება არ შეიცვლება - 16, 1 %
პოლიტიკაში, ივანიშვილის მოსვლით ქვეყანაში არსებული ვითარება კიდევ უფრო გაუარესდება - 8 %
მიჭირს პასუხის გაცემა - 23 %

ისევ იბადება კითხვა, თუ გამოკითხულთა 52,8 % თვლის, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით, მოდის ახალი ძალა, რომელიც ქვეყანაში არსებულ ვითარებას უკეთესობისკენ შეცვლის, რატომ არ ჩანს ეს პროცენტები იმ კითხვებში, რომელიც ივანიშვილის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასა და მის პირველ ნაბიჯებს პოლიტიკაში ეხება?

კვლევაში არის კითხვა სასურველ პრემიერ-მინისტრზე და მომავალ საპრეზიდენტო ვარიანტებზეც, მაგრამ არ ჩანდა მესამე მნიშვნელოვანი ფიგურის, პარლამენტის თავმჯდომარის შესაძლო ვარიანტების შესახებ გამოკითხვა, თუმცა, როგორც ბატონმა რამაზ საყვარელიძემ ბრძანა, ბატონ იაგო კაჭკაჭიშვილს ეს მონაცემიც ჰქონია და დავიწყებთ წარმოდგენა. ამ პოსტზე ლიდერობს მოქმედი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, მას მოსდევს უგულავა, ალასანია, კიდევ ვიდაც და სააკაშვილი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე 2013 წლიდან ბიძინა ივანიშვილის ხელვა უნდა 26,1 %-ს, ხოლო მიხეილ სააკაშვილისა 24,2 %-ს, „აი-უ-აი-ს“ გამოკვლევით კი მოსახლეობის 74 % უცხადებს ნდობას და კეთილგანწყობილია მის მიმართ, ნამდვილად გასაოცარი შედეგია, - დღევანდელ 74 %-ს, 2013 წლიდან არც პრემიერ-მინისტრად და არც პარლამენტის თავმჯდომარედ სააკაშვილის ხილვა აღარ უნდა.

ეს ყველაფერი არცთუ კარგია, ყოველ შემთხვევაში, ვითომ ოპოზიციურ პარტიებს „განსჯის საგანი“ ეძლევათ, რითიც, ფაქტობრივად, ყველანაირი სოციოლოგიური კვლევიით ბლუფის გაფორმება ხდება სახელისუფლებო პარტიის სასიკეთოდ, წინსწრებით სამომავლოდ.



კახეთი - 34,9%
იმერეთი - 30%
თბილისი - 23, 9%
გურია - 22, 2%
მცხეთა-მთიანეთი - 21, 2%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კონკურენტად ამ შემთხვევაშიც ბიძინა ივანიშვილი მოიაზრება, თუმცა, ნაკლებად, რაც, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ „ქართული ოცნება“ რეგიონებში არ გასულა.

ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის შედეგები რეგიონების მიხედვით:

სამცხე-ჯავახეთი - 15, 2%
სამეგრელო, ზემო სვანეთი - 8, 4%
ქვემო ქართლი - 24, 0%
შიდა ქართლი - 33, 9%
რაჭა-ლეჩხუმი - 39, 8%
აჭარა - 27,8%
კახეთი - 35, 8%

მხარდასაჭერ აქციაზე, პატიმრების ოჯახის წევრები არ მიდიან იმის შიშით, არაფერი მოსწიონ უარესი ჩემს პატიმარსო და მისგან აღებულ პასუხები რამდენად იქნება მის რეალური განწყობის გამოხატულება? - არადა, იგივე პროცენტებით თუ ვიმსჯელებთ, ლამის ნახევარი საქართველო პატიმარი, ან პატიმრის ოჯახის წევრია.

ალბათ, საინტერესოა სოციოლოგიური კვლევის ის შედეგიც, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას მოჰყვა „ნაციონალებს“ ამომრჩეველში დასაქმების კრილში, - სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა 21, 3% ნაციონალურიდან ბიძინა ივანიშვილის სექტორში საჯაროდ გადაბარდა.

დასაქმების კრილში ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერთა საერთო სურათი ასეთია:

ჩვენებში მონაწილეობის მიღება. რამდენად ემხრობით ბიძინა ივანიშვილის ამ გადაწყვეტილებას?
სრულიად ვემხრობი - 33,4 %
უფრო ვემხრობი, ვიდრე არა - 22, 9 %
უფრო არ ვემხრობი, ვიდრე კი - 13,6 %
საესებით არ ვემხრობი - 13, 1 %
მიჭირს პასუხის გაცემა - 17 %

კითხვა: - როგორ შეაფასებდით ბიძინა ივანიშვილის პირველ ნაბიჯებს პოლიტიკაში?
ძალზე დადებითად - 24,1 %
უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად - 22,1 %
არც დადებითად, არც უარყოფითად - 21,4 %
უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად - 10,2 %
ძალზე უარყოფითად - 8,3 %

დასაქმების კრილში ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერთა საერთო სურათი ასეთია:

სად გადის ზღვარი უსაგნო ფიარსა და რეკლამის შორის? რატომ არ ბრუნობს კვარაცხელი სააკაშვილის ახალგაზრდა „პროპაგანდისტებზე“? ამ თემების კვლადაკვალ, საერთო გაზეთს“ პარტია, ნეიტრალური საქართველოს, თავმჯდომარე მალერი კპარაცხელია ესაუბრა:

– ბატონო ვალერი, სახელისუფლებო არხებიდან შავი ფიარის ნიაღვარი მოედინება, მით უფრო ახლა – ივანიშვილის გვამოჩენის კვლადაკვალ, განსაკუთრებით გაკაპასდნენ.

– სწორედ ამგვარ უწარსულო და უმომავლო არსებობა “მოღვაწეობის” კონკრეტულ შედეგებს გულისხმობდა დიდი ილია, როდესაც ამბობდა, რომ ერი, რომელიც საკუთარ ისტორიას მოსწყდება, მომავალს კარგავს. თქვენ მართალი ხართ, მით უკვე მერამდენედ შეურაცხვეს ქართული კულტურის მოღვაწენი და ის ცნობილი ადამიანები, რომლებიც “ქართული ოცნების” პრეზენტაციას დაესწრნენ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საკუთარი თავის შეურაცხყოფა გამოუვიდათ

ამ დროს თვითონ არიან ქვის ხანის გადმონაშთი, როცა ჩანასახის მდგომარეობაშიც არ არსებობდა ზნეობა, ზრდილობა, წესი, ადათი... მე ვთანამშრომლობდი შევარდნაძესთან, ვიყავი კანონიერად არჩეული მაჟორიტარი დეპუტატი მთავრობის რაიონიდან და ეს არათუ მეთაკილება, უდიდეს პატივად მიმაჩნია. საქართველოს ახსოვს, რომ ბატონ შევარდნაძეს, მასთან თანამშრომლობის წლებშივე ყველაზე მწვეველ სწორედ მე ვაკრიტიკებდი. სააკაშვილი კი 2003 წლამდე ლაქიასავით ემსახურა, მრავალი თანამდებობა გამოსტყუა და მის წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ “ამხედრდა”, როდესაც ამერიკელებისგან დაეკავა მიიღო. ამ კაცის თანაგუნდელები მე რომ შევარდნაძის ეპოქის გადმონაშთს მიწოდებენ, სწორედ ამგვარ სიტუაციაზეა ნათქვამი, – “ჩემი შენ ვითხარო”. რაც შეეხება “იმედის” სი-



val eri kvaracxel ia bizina ivaniSvil s xel isufli ebis veragobis sam aspeqtze afrTxi l ebs~

ოკუპანტი არ არისო. ეს ამონარიდი დამოწმებული ჰქონდათ “იმედის” სიუჟეტში. კონტექსტიდან ამოგლევილი იყო, თუ... რაღაც ვერ გავიგეთ?

– კონტექსტიდან ამოგლევილი იყო, მაგრამ ცოდვას ვერ დავიღებ, აზრი ნამდვილად არ იყო დამახინჯებული.

– როგორ, რუსეთი მართლა არ მიგაჩნიათ ოკუპანტად?

– ფაქტობრივ მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, მაგრამ სააკაშვილის უგუნური ქმედებების წყალობით, რუსეთმა ეს ისე მოახერხა, რომ ოურიდული თვალსაზრისით, ოკუპანტი არ გამოდის...

– რას გულისხმობთ?

– გავისხენოთ, რას ნიშნავს ლათინური სიტყვა ოკუპაცია. ეს არის რომელიმე სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიის სამხედრო შეიარაღებული გზით, დროებით

სიუჟეტის ავტორები მიკვირებენ, კვარაცხელიამ რუსეთის ელჩის ნათქვამი არ გააპროტესტაო. რაც არ იყო გასაპროტესტებელი, რატომ უნდა გამეპროტესტებინა?!

– იმ შეხვედრაზე რუსეთის ელჩს ისიც უდიარებია, რომ საქართველო თუ ნატოს წევრი გახდება, რუსეთი მას დასჯიდა...

– არ შეიძლება ადამიანმა აღიაროს ის, რაც მომავალში უნდა მოხდეს. ადამიანმა მხოლოდ ის შეიძლება აღიაროს, რაც უკვე მომხდარია, მაგრამ ცნობილი არ არის. წლების განმავლობაში ვუმტკიცებდი ქართველ ხალხს და საქართველოს ხელისუფლებას, რომ რუსეთთან კონფრონტაციაში

– ყველაფრის მაკარებელი და ყველაფერზე წამსვლელი ხელისუფლების დამარცხება იოლი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი, ვინც ხალხში დამსახურებულად მოპოვებული მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს და არჩევნებისთვის აუცილებელი ყველა საშუალება გააჩნია, თუ სწორად ჩამოყალიბებული პროგრამით წარსდგება ამომრჩეველთა წინაშე და, რაც მთავარია, მოახერხებს ყველა მმართველის ოპოზიციური სპექტრის ერთიანი დროშის ქვეშ ერთიანებას, ამ ურთულეს პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვებას იხეიშებს. თუმცა მას წუთითაც არ უნდა დაავიწყდეს, რომ ძალიან დიდი ვერაგობა ელოდება ხელისუფლებისგან და არანაკლები ხიფათებია მოსალოდნელი საკუთარი გარემოცვისგანაც...

– კერძოდ?

– სამი რამის უნდა ეშინოდეს: ხელისუფლების მიერ მის გუნდში მიგზავნილი ადამიანების, ლაღაშის და პირველობისთვის შიდა კონკურენციის!

– თქვენი მისვლა “ქართული ოცნების” პრეზენტაციაზე ბიძინა ივანიშვილისთვის პოლიტიკურ მხარდაჭერას ნიშნავს?

– ბუნებრივია! მე მხარდაჭერა პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენისთანავე გამოვხატე, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ მედიასაშუალებებში.



ბობს. ეს რომ ასე არ იყოს, დღეში ათასჯერ გავიმეორებდი, რუსეთი ოკუპანტაა-მეთქი, მაგრამ ამით მხოლოდ ის მოხდება, რომ ამდენ უეცრ პოლიტიკოსს კიდევ ერთი უეცრი მიემატება, ქვეყანა კი საბოლოო დაშლის გზით წავა.

– „იმედის“ სიუჟეტში თქვენს მიერ 2007 წელს ორგანიზებული ღონისძიების ერთი ფრაგმენტი აჩვენეს, სადაც რუსეთის მაშინდელი ელჩი კოვალენკო ქართველებს “ვიმირაიუში ნაროდს” გვიწოდებს და ნატოს წევრობის შემთხვევაში, გვემუქრება კიდევ. მისი ის მუქარა “იმედმა” იმის აღიარებად ჩათვალა, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა...

– “ვიმირაიუში ნაროდს” მეცნიერული ტერმინია. მას დემოგრაფები იყენებენ იმ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ საზოგადოებაში სიკვდილიანობა აღემატება შობადობას. საქართველოსთან დაკავშირებით ეს ტერმინი იმ დარბაზში ქართველმა მეცნიერებმა გამოიყენეს, რუსეთის ელჩმა კი მხოლოდ გაიმეორა ის, რაც ქართველ მეცნიერთაგან მოისმინა. სხვათა შორის, მან იგივე ტერმინი რუსეთის მისამართითაც გამოიყენა, მაგრამ “იმედის სპეციალისტებმა” ეს ფრაზა, რა თქმა უნდა, მოჭრეს.

პატიოსნად, გულწრფელად და, შესაძლოა, ელჩისთვის ზედმეტი გულანდობლობითაც კი გაგვაფრთხილა იმის შესახებ თუ რას რა მოჰყვებოდა. ჩემი მხრიდან ეს დანაშაულია თუ საკუთარ ხალხსა და ქვეყანაზე ზრუნვა?!

– როგორ ფიქრობთ, რომ ბიძინა ივანიშვილი არჩევნების გზით „ნაცმოძრაობის“ დამარცხებას შეძლებს?

– პირადად თუ შეხვდით?

– არა, პირადად არ შეხვედრებო, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი მსოფლმხედველობრივი შეხვედრაა. ჩვენი ქვეყნის გადარჩენის გზას და პერსპექტივას ერთნაირად თუ ვხედავთ, პირადი შეხვედრის აუცილებლობაც გამოიკვეთება...

ნათია ნოდია

ინილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
 შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

უჟეტს, რომელიც ძირითადად, მე მომეძღვნა, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში სამარცხვინო ფურცლად შემორჩენილ “მოღვაწეებულ ქრონიკას” ჰგავდა, რომელიც ჩემთვის მხოლოდ იმდენად იყო გულსატკენი, რამდენადც ჟურნალისტიკური უნიჭობისა და უსინდისობის ერთი ნათელი ნიმუში იყო თორემ, სხვაგვარი, საზოგადოებამ იგი ჩემთვის გაწვეულ მომსახურებად და უფასო რეკლამად აღიქვა, რადგან მასში, ავტორთა პათოსის გარდა, ჩემს წინააღმდეგ არაფერი მეტყველებდა.

– გადაცემაში “სუბიექტური აზრი”, თქვენ განაცხადეთ, რუსეთი იურიდიული თვალსაზრისით,

დაკავება. ისტორიაში უამრავი ასეთი ფაქტია ცნობილი. სხვათა შორის, ოკუპაციის რეჟიმში საერთაშორისო სამართლითაც კი რეგულირდება, ჰააგისა და ჟენევის კონვენციებით. ჩვენ კი რა მდგომარეობა გვაქვს? რუსეთმა ქართული ტერიტორიების ოკუპირება კი არ მოახდინა, თვითადარებული სეპარატისტული რეჟიმები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო და სამხედრო კონტინგენტი მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე განალაგა. რუსეთს ყოველთვის შეუძლია ამ ფაქტით აპელირება. ამიტომ, “რუსეთი ოკუპანტია”, ამის ძახილი იმ ჩინში შემაკვლი გზაა, საიდანაც გამოსავალი არ არსებ

მსოფლიო ეკონომიკას „დიდი დეპრესია“ ემუქრება

საერთაშორისო საგაერო ფონდის ხელმძღვანელის ქრისტინ ლაგარდის განცხადებით, მსოფლიო ეკონომიკას ახალი „დიდი დეპრესია“ ემუქრება. მისი თქმით, ქვეყნები უნდა გაერთიანდნენ ეკონომიკურ კრიზისთან საბრძოლველად, რათა გამოვიდნენ ამ რთული სიტუაციიდან.

ლაგარდის განცხადებით, რისკებისგან, რომელიც ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებას უკავშირდება, მსოფლიოს არც ერთი ეკონომიკა დაცული არ არის.

მაშაა ლლონტი დამოუკიდებელი მკვლევარი მკვლევარი პოლიტიკის შერბასთან გამართულ აქციაზე განაცხადა, იგი ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად მელიამფლორელს იწვევს. “შეხვედრა გაიმართება ორშაბათს, 12:00 საათზე “თბილისი-მარიოტში”. დარბაზი უკვე დაქირავებულია. მივმართავ მედიასაშუალებების ხელმძღვანელებს, მობრძანდით შეხვედრაზე”, - განაცხადა ლლონტმა. მისივე თქმით, ამ ორგანიზაციამ მედია ზეწოლისაგან უნდა დაიცვას.

„მედიანოუსი“

მოგზაურობა სამოხლოში

kavTa _ wyoba di d qvaTa

ქავთის სივრცე



რუბრიკის ერთგულ მკითხველს, ალბათ, ემასსოვრება, რომ კავთურის ხეობაში მოგზაურობა ნასოფლარ პარეტისთან შეწყვეტილია. აქამდე მძლავრი, სამხედრო მანქანით შეიძლება როგორც მივიდეს კავთი, მერე კი საცაღვეზო ბილიკებით თავკავთაშიც მოხერხდება ასვლა. სამისოდ 7-8 კილომეტრია გასავლელი. გაცილებით მოკლეა (3-4 კმ) მეორე ბილიკი, რომელიც ბოტისიდან მიემართება, მაგრამ იგი რთული საგალია.

თავკავთაში ქვათხევიში ყოფნის დროს არ ავსულვარ. მისი ნახვისა და გადაღების საშუალება ერთი წლის თავზე, დიდგორის დღესასწაულზე მომეცა. გზა, თუმცა კი შემოვლითი და გრძელი იყო, მისასვლელად ილია გამოდგა: თბილისი-ნიჩისი-დიდგორის შემორილი-საკურთხისი-თავკავთა.

შემორილიდან ვერ ხელმარჯვნივ, დასავლეთისკენ უნდა ვიაროთ, მერე კი ჩრდილოეთით გადავუხვიოთ. აქ გზა სამად იტოვება და რომ არ დაიბნეთ, აუცილებლად მეგზური უნდა გაიყოლიოთ. ჩვენ წინარეხიდან დიდგორის ზვიმზე ცხენებით მომავალი ნაცნობი ახალგაზრდები გვეხმარებოდნენ და სწორ გზაზე გვაყენებენ.

თავდაპირველად ნასოფლარ საკურთხისში ვერძებით, სადაც მავანს ძველებური კოშკის აგება დაუწყია, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მოუყვანია (ახლა, შეიძლება, დასრულებულიც კია მშენებლობა). ნასოფლარის სახელწოდება იმას გვეუბნება, რომ თავკავთის მონასტერი შორს აღარ უნდა იყოს. საკურთხისში ცივი და უგემრიელესი წყაროა. დაწაფებით ვსვამთ, მერე მარაგს ვივსებთ და მარშრუტს ვაგრძელებთ. დაახლოებით ერთ კილომეტრში სამანქანო გზა სრულდება და ტყეში სიარულს ფეხით განვაგრძობთ. 300-400 მეტრში კლდეზე მიდგომულ რკინის კიბეს ვაკეზე ჩავყავართ, ბილიკი სწორდება და თავკავთაც გამოჩნდება. გამოჩნდება, უწინარესად, მისი ციხე-გალავნის ერთი მაღალი კედელი.

თავკავთა... კავთა... რას უნდა ნიშნავდეს ეს სახელი?

ამ საკითხზე სამი მოსაზრებაა:

1) ხალხური ვერსიით, ეს სიტყვა მომდინარეობს კავისგან (თურმე ძველ დროში მეცხვარეს ამ ადგილებში ქვების ძირში დამალული ხატი კავის საშუალებით გამოუღია; 2) ეთნოლოგ სერგი მაკალათიას მოსაზრებით, „კავთა“ მაცხოვრის „კავრთის“ შეკუმშული ფორმაა; 3) აქაური მკვიდრი, ცნობილი მწერალი გიორგი შატბერაშვილი ეჭვობს, რომ „კავთის“ ფუძე უნდა იყოს „ქავ“-ი. ეს სიტყვა ამჟამად შემორჩენილია ხევსურეთში და ქვათა გროვას, წყებას გულისხმობს.

პირველი ვერსია არასარწმუნოა, მეორე ვერსია, თითქოს, სიმართლეს შეეფერება, რადგან კავრთის წმინდა გიორგის ეკლესია არა მარტო მეზობლად მდებარე სოფელ ხოვლეში, არამედ ქარელის რაიონის სოფელ ღვანშიც გვხვდება... მაგრამ რატომ იქაური „კავრთი“ არ გადაკეთდა კავთად?

ყველაზე რეალური, მესამე ვერსია ჩანს. გამჭრიახი მწერალი ერთგან ასე გვეკითხება: „თუ „კავრთის“ სახელი ამ ეკლესიას ადრე ერქვა, რად მიანჭვებს წმ. გიორგის სახელი და რად უარყვეს ქრისტეს პერანგის „კავრთის“ სახელობა?... თუ დავიჯერებთ, რომ თვით ეკლესიამაც და მისმა მრევლმაც ფაშთა ავბეღობის გამოისობით დაივიწყა პირანდელი სახელწოდება „კავრთი“ და რაღაც გაუგებარი „კავთა“ გაბატონდა მიუღ ხეობაში, რაღას აკეთებდა მცხეთის საეპისკოპოსო, რომელსაც „მაღალს კლდესა ზედა შენი“ ეკლესია ექვემდებარებოდა?“

კომენტარი ზედმეტია. გიორგი შატბერაშვილს, ხევსურულ „ქავს“ რომ ახსენებს, ვერ აღ. ჭინჭარაულის განმარტებები მოაქვს და მერე თავის მოსაზრებას ვაფას პოეზიაში ნახსენები „ქავის-კართი“ ამარტებს.

ხევსურეთში „ქავი“ მცირე მონაკვეთზე გაკეთებული მაღალი კედელია, თავდაცვის მიზნით აშენებდნენ. გალავანს ჰგავს და ვიწრო გზაზეც აშენებდნენ ჩამკეტადო, განმარტავს აღ. ჭინჭარაული, მე კი, ჩემის მხრივ, შემდეგს დავუმატებ: რაკი ეს სიტყვა უმეცლესი დროიდან მოდის, აქ, ჩვეულებრივ, ქვითკირიან წყობაზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ მშრალი,

ციკლოპურ წყობაზე – ისეთზე, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი გმირთნაკვეთს უწოდებს და მაგალითად თეთრიწყაროს რაიონში, ჩხიკვთას სამების მთაზეც არის შე-



მორჩენილი. მაგრამ ვეება ციკლოპური ლოდების მშრალი წყობით იგებოდა არა მარტო ყორე-გალავანი, არამედ წარმართული სამისნობებიც: ორი ერთმანეთზე შემოდებული ლოდით – დუალიტი (შემორჩენილია ხარაგაულის რ-ნის სოფელ ნებოდირის თავზე) და სამი ლოდით – ტეტრალიტი (შემორჩენილია სამშვილდეში). დაბოლოს, სიტყვა „შემოკავებელი“ მეცხვარის კავ-კომბალიდან კი არ უნდა მომდინარეობდეს, არამედ სწორედ ქვათა ქვე-კავიდან. ჩნდება ვარაუდი, რომ „მაღალს კლდესა ზედა“, სადაც ამჟამად წმ. გიორგის ეკლესია და გალავნის ფრაგმენტებია შემორჩენილი, წარმართულ დროებაში იდგა დიდი ლოდებით ნაგები სამისნო, რომელსაც ასევე ციკლოპური, გმირთნაკვეთი გალავანი ანუ „ქავთა“ იცავდა, სხვათა შორის, საინტერესოა ისიც, რომ მოღწეული გალავნის კედლის სისქე 1,5 მეტრს აჭარბებს.

თუ „კავთა“ წარმართული ეპოქიდან შემორჩენილი ტოპონიმია, „თავკავთა“ ქრისტიანული ეპოქის სახელწოდებაა და აი, რატომ: მას შემდეგ, რაც კავთაში წმ. გიორგის სალოცავმა წარმართული სამისნოს ადგილი დაიკავა, კავთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიები სხვაგა-



ნაც აივო, მთავარმოწამის უძველეს ტაძარს კი თავკავთა შეარქვა ხალხმა.



აღსანიშნავია, რომ კავთის წმ. გიორგის ეკლესია არის ამავე ხეობის პატარა სოფელ თვალაღში, რომელსაც გვერდს უმშვენებს სოფელი კავთისხევი. პატარა სოფელ კავთელას ვხვდებით ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე, ისტორიული საგურამოს მიდამოებში, ახატანთან ახლოს. სავარაუდოა, რომ თვით ქვათხევიც სინამდვილეში ქვათხევი-კავთახევი და სახელი ქვათხევი (აქედან ვარი ქვათარაძე) აქედან მოდის. ახლა ქვემო ქართლშიც გადავინაცვლოთ: კავთელი ხუცესი და ბერი მოხსენიებულნი არიან დიდი თონეთის, არხოტის (თეთრიწყაროს რ-ნი) და თევდორეწმინდის (ბოლნისის რ-ნი) ეკლესიათა თუ სტელათა ლაპიდარულ წარწერებში. ამ წარწერებით მხელი დასადაგნია, რომელი კავთელი ბერები არიან ესენი – თავკავთელები თუ ქვემო ქართლში სავარაუდოდ არსებული სხვა კავთის წმ. გიორგის ეკლესიის წარმომადგენლები. ისე, ერთი რამეც არის გასათვალისწინებელი: თავკავთა ტერიტორიულად ქვემო და შიდა ქართლის საზღვარზე დგას თითქმის

და დიდგორის ოშში მისი ხატებიც უძლია წინ ქართულ ლაშქარს. ახლა ორიოდ სიტყვა უშუალოდ ტაძარზეც ვთქვათ: „წმინდა გიორგი“ XII-XIII საუკუნეთა ნაგებობაა. მისი სამხრეთი და დასავლეთი კედლები პირდაპირ კლდეზე დგას, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები კი მძლავრ სუბსტრუქტაზე. ტაძარზე სამხრეთიდან მოდებული თაღებიანი დერეფანი მთავარ დარბაზს მიუღ სივრცეზე გასდევს და მას ორი კართი უკავშირდება. აღმოსავლეთი კარი პირდაპირ საკურთხეველში შედის. პორტალის ლილვები და ტიშპანი ისეა ქარ-წვიმისაგან დამდნარი, რომ ჩუქურთმები აღარ იკითხება. სამკაულების ნაწილი მხოლოდ ჩრდილოეთ ფასადის ქვათა წყობის ქვედა რეგისტრებშია შემორჩენილი. დიდი ქვიშაქვის ლოდებით ნაგები საყდარი, მოგვიანებით აგურით შეუკეთებიათ, რასაც განსაკუთრებით აღმოსავლეთის ფასადი გაუუბრალეობა. ტაძრიდან ჩრდილოეთით კლდეში ამოკვეთილი მცირე ავზებია, შიგნით კი ორი მინიატურული აკვანი – თავკავთის „წმინდა გიორგის“ ხომ დიდი ძალა აქვს და ვაჟიანობასაც მას შესთხოვენ.

იშვით, ზღაპრულ ადგილზე თავკავთა და თუ თავად არ იხილეთ, მისი მშენებლების აღქმა სხვათა სიტყვით შეუძლებელია.

გელა ძოძიაშვილი
ავტორის ფოტოები





		3	7	8			9	
7	6	9		1				
1					5	7	4	
4	8	5			7			
		9	2	7				
		2			3	6	1	
1	5	3					8	
				5		9	2	7
2		4	8	6				

8						6	9	4
3	1	6	2	9				
		7	8	6		3		
2	6	4	8					
		8	9	4	3	7		
					1	5	4	8
8		5	3	2				
			7	9	1	8	2	
9	2	7						

		1			4	6	8
	9	4	3	1			
	2		5		1		
4		3	5			1	
2	6				7	5	
8		9	2			4	
2		9		5			
		2	8	3	1		
3	7	8			2		

9			5	1	2			
3	5	7					6	
					7	8	9	5
				8		2	3	7
			1	9		4	5	
6	3	8		2				
1	2	5	6					
	9					6	2	4
					2	7	3	

8	2	1							
			5	7	1			6	
				3		4	1	9	
6	7	4	3						
	8	9	5		4				
				7	2	3	8		
4	9	5		8					
2			1	6	4				
							3	7	4

1		4			8				
7							9	8	6
		3	6	2	5				
3	1		6					5	
	4	8	1	3				2	
		9		4				1	7
			4	7	9	3			
4	2	6							7
			2				8		1



„ქართული ოცნება“ ეკუთვნის ყველას!

ყველას, ვინც განიცდის საქართველოში არსებულ მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ვინც ადეკვატურად აფასებს გამომწვევ მიზეზებს და აცნობიერებს ვითარების შემდგომი გაუარესების პერსპექტივას, ვინც გამოსავალს ხელისუფლების სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნებით შეცვლაში ხედავს.

ქართული „ოცნების სახელმწიფო“ იქნება ქვეყანა, სადაც მართვის სისტემა დაეფუძნება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განუხრელ დაცვას.

აღდგება ბალანსი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რაც გამოიწვევს ძალაუფლების თავმოყრას ერთი პოლიტიკური ძალის ხელში და ავტორიტარულ მმართველობას.

ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონი მიიღება მხოლოდ საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და კონსენსუსის პირობებში.

ხელისუფლების საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა როგორც ბიუჯეტის, ისე ეროვნული უშიშროების პოლიტიკის განსაზღვრისას, უზრუნველყოფს ხელისუფლების ერთადერთი წყაროს, საქართველოს ხალხის ინტერესების დაცვას.

მედია გათავისუფლდება სახელმწიფო კონტროლისაგან და თავად იქცევა ხელისუფლების კონტროლის მექანიზმად, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებას მრავალმხრივი, მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე არჩევანის საშუალებას მისცემს.

სასამართლო დაცული იქნება ნებისმიერი გარე გავლენისგან. მართლმსაჯულების აღსრულება დაეფუძნება ერთადერთ პრინციპს – კანონის უზენაესობას.

ქვეყნის გამთლიანება ჩვენი ოსი და აფხაზი თანამემამულეების ქართული სახელმწიფოსადმი ნდობის აღდგენით დაიწყება. გვჯამს, რომ ამ პრინციპებისადმი საზოგადოების თითოეული წევრის ერთგულება, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური აღმსარებლობის და პოლიტიკური მრწამსისა, „ქართული ოცნების“ ასრულებამდე ოცნების საქართველოს. საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების გავლენა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და მაქსიმალურად ჩააბას იგი ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების განსაზღვრასა და განხილვაში.



„ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება!“

გიორგი უგულავა

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად განსაზღვრავს და მათი დახმარებით შეიმუშავებს კონკრეტულ სამოქალაქო გეგმას სამართლის, ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულების, ეკონომიკური პოლიტიკის, სოფლის მეურნეობის, ეკოლოგიის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, საგარეო პოლიტიკის, კონფლიქტების მოგვარების, რეგიონალური პოლიტიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ეროვნული უმცირესობების, უსაფრთხოების, ახალგაზრდობისა და სპორტის აქტუალურ საკითხებზე. საზოგადოებრივ მოძრაობასთან არსებული თემატური ჯგუფები შეისწავლიან ცალკეულ დარგებში არსებულ ვითარებას და შეიმუშავებენ განვითარების ეფექტიან მოდელებს. ჯგუფების წევრები კონსულტაციებს გამართავენ კონკრეტული სფეროების ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან.

ჩამოყალიბდება რეგიონალური სტრუქტურები, რომელთა მთავარი მიზანი იქნება საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია სამართლიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სახელმწიფო მმართველობაში ხალხის ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური ძალების მოსვლას.



საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სარეგისტრაციო ბლანკი

სახელი -----

გვარი -----

მამის სახელი -----

დაბადების თარიღი -----

მისამართი (პირადობის მოწმობის მიხედვით) -----

(რაიონი, ქუჩა)

მისამართი (ფაქტობრივი) -----

ტელეფონი (მობილური) -----

ტელეფონი (სახლის) -----

ელ.ფოსტა -----

თანახმა ვარ გავხდე საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი

ხელმოწერა -----

Tbilisi, erekl e Il Sesaxvevi #3

tel .: +995 32 260 47 67; +995 32 260 44 17; +995 32 260 44 07

www.georgiandream.ge; info@georgiandream.ge